

შპს ჯიო
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ჯიო

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი	2	7 314 001	6 650 835
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3 236 293)	(2 908 029)
საერთო მოგება		4 077 708	3 742 806
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3	(2 707 202)	(2 609 414)
სხვა შემოსავალი		0	0
საოპერაციო მოგება		1 370 506	1 133 392
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		33 423	(862 586)
მიღებული დივიდენდი		0	183 643
პერიოდის მოგება		1 275 200	348 195
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა		0	0
სრული შემოსავალი		1 275 200	348 195

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის
მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 21 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ნუკრი ჩოკოშვილი

შპს ჯიო

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	4 121 859	4 293 553	4 525 450
გრძელვადიანი ინვესტიციები		0	0	834 950
სულ გრძელვადიანი აქტივები		4 121 859	4 293 553	5 360 400
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		3 027 411	2 353 612	1 908 244
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	272 241	81 848	414 351
ფული და ფულის ექვივალენტები	7	2 110 245	1 435 109	1 337 510
სულ მიმდინარე აქტივები		5 409 897	3 838 980	3 660 105
სულ აქტივები		9 531 756	8 164 122	9 020 505
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი		0	0	393 000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		9 428 352	8 063 636	8 524 406
სულ საკუთარი კაპიტალი		9 428 352	8 063 636	8 917 406
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები და ფინანსური იჯარა		0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	103 404	100 486	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		103 404	100 486	0
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9 531 756	8 164 122	9 020 505

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯიო (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 204951819 დაფუძნდა 2000 წლის 30 ივნისს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N8.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობას ტანსაცმლით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა წილები:

მესაკუთრე	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თემურ ლევკეიშვილი	50%
გრიგოლ ლევკეიშვილი	50%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2022 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 1 იანვარს	2.7020	2.8844
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობა -ნაგებობა	30
დანადგარები	5-10
ავტოტრანსპორტი	5-10
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5-10
სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო

ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრული აქვთ აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია. ამორტიზაცია გამოიტვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა). პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად

აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2. შემოსავლები

შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023
შემოსავალი სპორტული ტანსაცმლის და ფეხსაცმლის რეალიზაციიდან	6 617 548
საიჯარო შემოსავალი	696 453
სულ	7 314 001

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023
ხელფასის ხარჯი	1 363 860
ცვეთა და ამორტიზაცია	246 019
საწვავის ხარჯი	12 797
იჯარის ხარჯი	847 109
კომუნიკაციის ხარჯი	1 718
რეკლამის ხარჯი	8 094
საბანკო ხარჯი	17 613
კომუნალური ხარჯი	64 727
საკანცელარიო ხარჯი	819
საპენსიო ხარჯი	16 407
საკონსულტაციო მომსახურება (საგად. აუდიტი)	7 249
მივლინების ხარჯი	4 620
დარიცხული გადასახადები	33 471
სხვა ხარჯი	82 701
სულ	2 707 202

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	დანადგარები	ავტო და ინვენტარი	ავტომობილები	სულ
01.01.2023	872 284	5 076 082	114 411	688 699	29 368	6 780 844
შემოსვლა				19 995		19 995
გასვლა						
31.12.2023	872 284	5 076 082	114 411	708 694	29 368	6 800 839
დაგროვილი ცვეთა						
01.01.2023		(1 820 543)	(104 786)	(559 515)	(2 447)	(2 487 291)
გასვლა						
პერიოდის ცვეთა		(169 034)	(4 255)	(69 793)	(2 937)	(246 931)
31.12.2023		(1 989 576)	(109 041)	(629 309)	(5 384)	(2 733 310)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება						
31.12.2023	872 284	3 086 506	5 369	79 385	23 984	3 195 244

კომპანიის საკუთრებაში არსებულ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

5. გრძელვადიანი ინვესტიციები

გრძელვადიანი ინვესტიციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023
გრძელვადიანი ინვესტიციები	0
სულ ფინანსური აქტივები	0

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2023	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	50 259	272 241
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	31 589	0
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	81 849	272 241

7. ფული და ფული ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023
ნაღდი ფული სალაროში	14 099
ლარი საბანკო ანგარიშებზე	2 082 297
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	13 850
სულ	2 110 245

8. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, ჯარიმები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

დირექტორი



ნუკრი ჩოკოშვილი

21.09.2024